საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის შედეგები

## 2022 წელი



27.10.2023
www.geostat.ge

27.10.2023

# საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის შედეგები

(2022 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2022 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების[1] შემოსავლებმა 152.6 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან, საერთაშორისო საფოსტო-საკურიერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი 71.2 პროცენტს შეადგენს, ხოლო 28.8 პროცენტი ადგილობრივი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებია.

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 70.7 პროცენტი ამანათების მიწოდებიდანაა მიღებული, რომლის 76.2 პროცენტი მოდის საერთაშორისო გზავნილებზე, ხოლო 23.8 პროცენტი - ადგილობრივ გზავნილებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა:

დიაგრამა №1

**ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა, 2022 წელს**




[1] სახლში საკვების მიწოდების მომსახურების გარეშე (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016))

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 17.8 პროცენტი წერილობით კორესპოდენციებზე მოდის, რომლის 59.6 პროცენტი საერთაშორისო, ხოლო 40.4 პროცენტი - ადგილობრივი გზავნილებია.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურას:

დიაგრამა №2

**წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა, 2022 წელს**




საფოსტო და საკურიერო მომსახურებით დაკავებული საწარმოების მიერ 2022 წლის განმავლობაში გაგზავნილია 5 379.3 ათასი წერილობითი კორესპონდენცია და 7 403.1 ათასი ამანათი.

2022 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 3.7 ათას კაცს შეადგენდა, მათ შორის 1 124 კურიერი, ფოსტალიონი და ფელდეგერია.

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

**საკონტაქტო პირები:**

თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge